ხუთშაბათი, 27 აპრილი 1907 წ. | წელიწადი პირველი — № 90

# ისარი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციის და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ხელთნაწერები, წერილები არ დაიბეჭდება. ძალიან მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. [illegible] დიდი წერილები და მოთხრობები. [illegible] სახონორარო [illegible]. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція „ИСАРИ“

## „ისარი“-ის ხელის მომწერთა საყურადღებოდ

„ისარი“-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ მაისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც სამ მანეთზე მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 3 მან. 50 კაპ. მეტი

პირველ მაისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მ. 60 კ. ტფილისს გარედ—5 მ. 30 კ., საზღვარ-გარედ—7 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75, ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მ. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ქ. სოხუმში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა 25 აპრილს

**დათიკო ზაქრაძე,**

რასაც დიდის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ განსვენებულის დედ-მამა და ძმები. (1—68—1)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12, ახალი მდივნისა. (34)

ექიმი
**ე. ვაშაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—37)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიულის.** დილით 9—10 ს., საღამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**ვ. ს. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, 5—7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—89)

ელექტრო-თერაპიული კაბინეტი
**მიხეილ გედევანიშვილისა**
იღებს ავადმყოფებს დილის 12—1 ს., საღამოობით 6—7 საათ. ვერაზე, ყორღანოვის ქუჩა, საკ. სახლი № 20. ტელეფ. № 791. (წლ.—97)

ქ. ქუთაისში
**ბავშვების ექიმი ბადრიძე**
ავადმყოფებს მიიღებს დილით 9—12, საღამოთი 5—6 საათამდე, პოლიციის ქუჩა, სახლი ციციაშვილისა. (25—ფ.—10)

ექიმი
**კ. ი. ბძელიშვილი**
იღებს **ყურის, ცხვირის** და **ყელის** ავადმყოფებს დილის 12—1 ს. საღამოთი 5—7 ს. ელისაბედის ქუჩა, № 7. სახლი მეწუღოვისა. (25—16)

## სამკურნალო
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**ვანქის დიდი ქუჩა, № 5. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.

**რუდინკო**—შინაგანი სნეულობანი, კვირას 3—4 ს.
**იანჩევსკი**—ყურის, ყელის და ცხვირის. ოთხ., პარასკ. და სამშ. და კვირას 2—3 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**როზმაინსკი**—ბავშვთ, ყოველდღე, შაბათისა და კვირის გარდა 4—5 ს.
**ანპინსოვი**—ყურის, ყელისა და ცხვირის. ორშაბ., სამშაბ. და შაბათს 1—2 ს. ხუთშაბათს და კვირას 12—1 ს.
**ნოვიცკი**—ქალისა და ბავშვისა. ყოველდღე, კვირას გარდა 1—2 ს.
**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**ნეუიმინი**—თვალისა, ორშაბ., ოთხ. პარას. 12—1 საათზე.
**ინაევი.** ქალისა, ყოველ დღე 4—5 ს.
**თეთრაძე**—კანისა და ვენერ. ყოველდღე 1—2 საათზე.
**ბოყოვსკი**—შინაგანი წამლობა შთაგონებით; ყოველ დღე 4—5 ს.
**მონზე**—ბავშვებისა, სამშაბათს, ხუთშ., შაბათს 4—5 საათზე.
**ექიმი ქალი იოსელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ. 11—12 ს.
**პავლოვსკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**გოროზცოვა.**—მასაჟი, ყოველ დღე 11—5 ს.
**ნევზოროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 1—3 ს.
**პივარსკი**, **ჩუდნოვსკი** — კლინიკური ანალიზი.

კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—79)

**კავკასიის** სამთო სამართველოს უფროსის თანაშემწე სტატ. სოვ. **მ. ი. ჩინგერი** ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მისის თავმჯდომარეობით, ვაჭრობისა და მრეწველობის მინისტრის განკარგულების თანახმად, 1907 წლის 24 მაისს ქუთაისში მოწვეული იქნება მეცხრე (მორიგი) კრება შორაპნის მაზრის შავი ქვის მრეწველთა.

**განსახილველი საგნები:**

1. კრების მდივნის არჩევა.
2. განხილვა ანგარიშებისა: 1) კრების საბჭოსი, ბ) სარევიზიო კომისიისა, გ) იმ კომიტეტისა, რომელიც ჭიათურის შტოზე პლატფორმებსა და ვაგონებს ანაწილებს.
3. განხილვა სტატისტიკურ ცნობებისა მადნების სიმდიდრეზე, შავი ქვის რაოდენობაზე რკინის გზის სადგურებში და იმაზე, თუ რამდენი ქვა გააქვთ, ამიერ-კავკასიის რკინის გზის გადასაზიდ საშუალებებზე და საწყობ ადგილებზე როგორც ჭიათურის შტოზე, ისე მთავარ ლიანდაგზე.
4. შეცვლა და დამატება, საზოგადო დებულების დამტკიცებამდე, კრების შესახებ დებულების ზოგიერთ პარაგრაფისა.
5. საკითხი იმის შესახებ, რომ შავი ქვის მრეწველთა კრების საბჭოს უფლება მიეცეს აიღოს საბჭოს სავალდებულო დაუყოვნებელ ხარჯების გასასტუმრებლად სესხი საკრედიტო დაწესებულებიდან ან საზოგადოებიდან და კერძო კაცთაგან.
6. საკითხი ჭიათურის შტოს განიერ ლიანდაგად გადაკეთების ან და მეორე ვიწრო-ლიანდაგიან შტოს გაყვანის შესახებ.
7. ჭიათურის შტოზე მარგანეცის გადასაზიდ ტარიფის დაკლება და იმავე შტოზე ნორმალურ ტარიფის დაწესება სხვა, მარგანეცის გარდა, საქონელზე.
8. ჭიათურის შტოთი გატანილ მარგანეცზე საფუთო გადასახადის გადიდება ორ კაპეიკამდე და გავრცელება ამ გადასახადისა მარგანეცის იმ მადანზე, რომელიც მიაქვთ, ჭიათურის შტოს გარეშე, რკინის გზის სხვა და სხვა სადგურზე.
9. სამთო დეპარტამენტის წინადადება 1905 წლის 15 ნოემბრის № 2582 ით იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოწესრიგდეს შავი-ქვის მრეწველობის საქმე ჭიათურაში.
10. მისავალ გზების გაყვანა ჭიათურის შტომდე
11. ზოგიერთ მრეწველთა თხოვნა დღეს არსებულ საქალაქო სასწავლებლის ნაცვლად ჭიათურაში ვაჟთა გიმნაზიის დაარსების შესახებ.
12. გადათვალიერება შავი ქვის მრეწველთა მერვე კრების მიერ დამტკიცებულ ინსტრუქციისა სტიპენდიების და შემწეობების განაწილების შესახებ.
13. ჭიათურის და მახლობელ სოფლების მცხოვრებთა შუამდგომლობა ჭიათურის დაწყებით სკოლის პირველ განყოფილებასთან პარალელურ განყოფილების გახსნის შესახებ.
14. გადათვალიერება შავი-ქვის მრეწველთა მერვე კრების დადგენილებისა მუშების, მრეწველთა და მოსამსახურეთა ექიმობის შესახებ, აგრეთვე ჭიათურის სამრეწველო საავადმყოფოდან წამლების გაცემის შესახებ.
15. საკითხი მრეწველთა კრებაზე მუშების წარმომადგენელთა დაშვების შესახებ.
16. განხილვა შავი-ქვის მრეწველთა საბჭოს, ფოთის ქალაქის გამგეობის და მარგანეცის ექსპორტერთა კომიტეტის შეერთებულ სხდომის დადგენილებისა ფოთში დამტვირთველ მუშებისთვის საცხოვრებელ სახლის აგების შესახებ.
17. ფოთის შავი ქვის მრეწველთა წინადადება ფოთში მტვირთველ მუშებისთვის საავადმყოფოს გამართვის შესახებ.
18. მაღაროებში წყლის გაყვანა.
19. მოთხოვნილება შავი ქვის მრეწველთა კრების დაწესებულების მოსამსახურეთა და მუშებისა მათ ყოფა-მდგომარეობის გაუმჯობესების შესახებ.
20. საკითხი დაბალ სამთო-სატეხნიკო განათლების შესახებ.
21. განხილვა და დამტკიცება საბჭოს შესავალ-გასავლის აღრიცხვისა 1907 წლისათვის.
22. არჩევა კრების საბჭოს თანამდებობის კაცებისა. (3—ნ.—2)

**ქართველ ახალგაზდა მწერალთა, მთარგმნელთა, წიგნების გამომცემელთა და მესტამბეთა საყურადღებოდ.** ვკისრულობ ხელთ-ნაწერების შესწორებას, კორექტურას და გამოცემათა ხელ-მძღვანელობას, ყველასათვის ხელმისაწვდომ ფასებში.

**ადრესი:** ტფილისი, თხინვალის ქუჩა, სახლი ტოროშელიძისა, № 12. **პირადად მოლაპარაკება შეიძლება დილის 8 საათიდან 10 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.**
(30—უ.—19) ია ეკალაძე-ცინცაძე.

წ.-კითხვის საზოგ. და სხვა მაღაზიებში იყიდება ახალი გამოცემა მ. ჯანაშვილისა

## ნაშრომი

1. საისტორიო საბუთების შესწავლის მდგომარეობა ჩვენში და ახლად აღმოჩენილი ახალი „ქართლის ცხოვრება“, 2. **ახალი ქართლის ცხოვრება** (გიორგი ბრწყინვალიდან გიორგი XI-მდე), 3. თვითონვე გვიწვევენ (შენიშვნები წერილის გამო „ქართული გრამატიკა მ. ჯანაშვილისა“.)

**ფასი ერთი აბაზი**

გამოცემის მთელი შემოსავალი, სამაღაზიო %-ს გარდა, გადაეცემა „ქართ. საქველმ. საზ. გამგეობას“ გაჭირვებულ მეგრელ-გურულთა სასარგებლოდ.—იქვე და აგრეთვე ქუთაისში მაღაზია „კოლხიდაში“ იყიდება მ. ჯანაშვილის „საქართ. ისტორია“, „ქართ. გრამატიკა“ და სხვ. გამოცემანი.

**შეცდომის გასწორება.** წაიკითხეთ: „ნაშრომის“ გვ. 5—დაარსეს, 74—გაცოხნილ, 75—დაეჩნიათ, 80—travailleur, 83—წარსულის... მკრთალად. (10—უ.—2)

საიმპ. სამუსიკო საზოგადოების სამუს. სასწავლებლის **საკონცერტო დარბაზში** ხუთშაბათს, 27 აპრილს, 1907 წ.

## ალბერტ ლორინცი

გამართავს მხოლოდ ერთ სეანსს, რომლის შესახებაც ბევრს მხოლოდ წაუკითხნია და გაუგონია, ნახვით-კი არ უნახავს. ეს სეანსი საზოგადოებისათვის მეტად დიდ ინტერესს წარმოადგენს ანტროპოლოგიურის მხრით, რადგან იგი ეხება **ანატომიას და ქირურგიას, ფსიხოლოგიას და ფილოსოფიას.**

ბ-ნი ლორენცი ადამიანსა და *** იწვევს ანესტეზიას (ტკივილის უგრძნობლობას), გიპერესტეზიას (სხეულის ცალკე ნაწილების ძლიერ ტკივილს), კატალეპსიას, ესე იგი გაშეშებულ მდგომარეობას პირის გემოვნების დამახინჯება; ლორიცი გამოიცნობს კაცის აზრებს; ყველას თვალ-წინ გაჰკერავს **პირს** ნემსითა და ძაფით. ლურსმებით ხელებს ფიცარზე მიაკრავს ისე, რომ არავითარ ტკივილს არ იგრძნობს და არც დაუშავდება რამე. მოახდენს სხვა უცნაურ და საკვირველ რამეებსაც, ისე, რომ ყველა გაოცდება და გაშტერდება.

დაწვრილებით ცალკე განცხადებებზე. დასაწყისი საღ. 8½ საათზე.

ბილეთები იყიდება სამუსიკო სასწავლებლის შენობაში. (2—67—2)

შაბათს, 28 აპრილს, **„ტფილისის სობრანიეში“**
(მიხეილოვის პროსპექტი)
ყაზბეგის ქალთა სკოლის სასარგებლოდ გამართული იქნება სეირნობა

## გაზაფხულის მიგებება

დასაწყისი 12 საათზე, ბაღში შესასვლელი ფასი 20 კ. ყმაწვილებისათვის 10 კ.

**დასუსტებულ, ავადმყოფობისაგან განკურნებულ და კარგი ღვინის მოყვარულთა საყურადღებოდ.**

უკანასკნელ ხანებში ბევრი ჰყიდის ღვინოს „ყიფიანის ღვინის“ ხახელით. მოვალედ ვრაცხთ ჩვენ თავს, ვაუწყოთ საზოგადოებას, რომ ქუთაისში არსებობს ერთად-ერთი საწყობი ნამდვილ **„ყიფიანის ღვინისა“**, რომელიც ეკუთვნის ლუარსაბ ლუარსაბის ძე ყიფიანს. ყიფიანის ღვინო, რომელიც ს. ხვანჭკარაში მოდის, განსაკუთრებით კარგი თვისებისაა და იმის მსგავსი ღვინო რაჭაში არსად მოდის. ხვანჭკარელი მემამულენი თავადნი დიმიტრი, დათა და მანუჩარ ყიფიანები მთელს თავიანთ მოსავალს ჩვენს საწყობს აძლევენ და სხვაგან ერთ ბოთლსაც არა ჰყიდიან და ამიტომ თუ ვინმე ჰყიდის ღვინოს „ყიფიანის“ სახელით, იგი ხვანჭკარული არ არის. ლ. ლ. ყიფიანის ღვინო იყიდება დაბეჭდილი და წითელ ეტიკეტის ქვეშ აღნიშნულია ფირმის სახელი და წარწერა: „სოფელი ხვანჭკარა“. საწყობი მოთავსებულია ქუთაისის ქალაქის სახლში, ტფილისის ქუჩაზე და ქალაქის აფთიაქის მახლობლად. მსურველთ ღვინო ეგზავნებათ დაუყონებლივ.

ჩვენი ღვინო ყურძნის წმინდა წვენისაა და ყოვლად უხადოა და თუ ვინმე დაგვიმტკიცებს, რომ იგი ბუნებრივი არ არის, მზად ვართ გადავიხადოთ **ჯარიმა 2000 მანეთი.** პრეისკურანტს უფასოდ ვუგზავნით. (10—ყიფ.—9)

## დირექტორი
ტფილისის საკომერციო სასწავლებლისა.

აცხადებს, რომ იმათი **თხოვნების მიღება**, ვისაც სურს მისცეს ბავშვები მოსამზადებელ კლასებში (უმცროს, შუა და უფროსში), აგრეთვე პირველ, მეორე, მესამე და მეოთხე კლასებში, შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, სასწავლებლის კანცელარიაში 10-დან 1 საათამდე.

მოსამზადებელ კლასის უმცროსს განყოფილებაში მიიღებიან ბავშვები 7—9 წლისანი. ამათვის არავითარი ეგზამენი არ არის საჭირო.

მისაღები ეგზამენები სხვა კლასებში მოხდება ამ წლის 19, 21, 22 და 23 მაისს. (2—59—3)

გამოვიდა და იყიდება წიგნის მაღაზიებში
**„ბნელეთის ევოლიუცია თაგვ-ეშმაკთ რევოლიუცია“.**
პ. აკობიასი. ფასი 5 კაპ. (6—5.—1)



## სურდოს წინააღმდეგ

უნდა იხმაროთ **„ფორმანი“**, რომელსაც ექიმები საუკეთესო საშვალებად სთვლიან **სურდოს წინააღმდეგ**. საზღვარ გარედ სამი წელიწადია ხმარობენ და ემადლიერებიან. ყოველ წელიწადს ბევრ მილიონ კოლოფს ხმარობენ. ფორმანი მომზადებულია, როგორც ბამბა სურდოს წინააღმდეგ. ხმარება სულ უბრალოა. კოლოფის ფასი 25 კაპ. იყიდება ყველა აფთიაქისა და სააფთიაქო მაღაზიაში.
(3—№ 6—2) (Метцель и Ко 22087)

ტფილისი, 27 აპრილი

პოლონეთის ავტონომიის საკითხმა პოლიტიკურ აფრთოვანების ხანა უკვე გაიარა. ავტონომია პოლონელებისთვის აღარც პროპაგანდის ნიშანია, აღარც ოცნების შინაარსი, აღარც იდეალიზაციის საგანი. ის ეხლა საკანონმდებლო კითხვაა. არა მარტო თვით პოლონეთში, რუსეთშიაც კი პოლონეთის ავტონომიისთვის საზოგადოების აზრი სრულიად მომზადებულია. პოლონეთში პოლიტიკური პარტიები, მემარჯვენენი, ზომიერნი და მემარცხენენი ერთმანეთს ავტონომიის ნიადაგზე აღარ ებრძვიან, პირიქით იმის წინაშე ყველანი ივიწყებენ დროებით თავის პარტიულ განხეთქილებას, პარტიულს თავმოყვარეობას. რუსეთში პრინციპიალურად მთელი ოპოზიცია თანაუგრძნობს პოლონელების ავტონომიას. ცენტრალიზმის პრინციპიალური დამცველი სოციალ-დემოკრატებიც კი თანახმა არიან, პოლონეთს ავტონომია მიეცეს.

ასეთი მდგომარეობის პირდაპირი შედეგია ის, რომ პოლონეთის 46 დეპუტატმა თავის სამშობლოს ავტონომია მიმდინარე საკანონმდებლო მუშაობის მორიგ საქმედ გადააქცია. სათათბიროში შეტანილი კანონ-პროექტი, რომელსაც მკითხველი დღეს ჩვენს გაზეთში წაიკითხავს, პოლონეთის ავტონომიის საკითხს პრაქტიკულს ნიადაგზე აყენებს. ამ კანონ-პროექტით თეორიული საკითხი ცენტრალიზაციის და დეცენტრალიზაციის შესახებ განსაზღვრულს, სრულიად დასრულებულს ფორმულებშია ჩამოყალიბებული; ამ პროექტით პრინციპიალურად შერიგებული და შეთანხმებულია ერთმანეთთან ადგილობრივ თვითმმართველობის საჭიროება მთელის სახელმწიფოს სოლიდარობასთან. დავა და კამათი მხოლოდ იმაზედ-და შეიძლება, თუ რამდენად მოხერხებულად და რაოდენის სამართლიანობით არის ნაჩვენები ის მწვერვალი, რომელიც განაცალკევებს მთლიანობის ინტერესს ადგილობრივ ინტერესებისაგან.

პოლონეთის ავტონომიის კანონ-პროექტს რუსეთის ლიბერალური ნაწილი საერთოდ მხიარულად მიეგება. თანაგრძნობას აცხადებენ აგრეთვე ძლიერ საპარლამენტო პარტიების წარმომადგენელნი. სათათბიროში ამ კანონ-პროექტმა შეიძლება ცოტა რამ ცვლილება განიცადოს, მაგრამ საბოლოოდ იმისი მიღება კი ეხლა ექვს გარეშეა. ეს ჯერ კიდევ, რა თქმა უნდა, იმას არ მოასწავებს, რომ პოლონეთის ავტონომია ყოველის განსაცდელისაგან დაზღვეული იყოს. სახელმწიფო სათათბიროს ზევით სახელმწიფო საბჭო არსებობს, რომელიც განზრახ იმ გვარად მოწნულს მახეს ჰგავს, რომ ვერც ერთი ლიბერალური კანონ-პროექტი ვერ დაუსხლტეს იმის კედლებს. გარდა ამისა სათათბიროსა და საბჭოს, ორივეს ერთად ისეთი რეაქციონური მცველები ჰყავს მინისტრების ფორმაში, რომ რაც მათ არ იამებათ, ის მაგრე ადვილად კანონად არ გადაიქცევა, თუნდაც სათათბიროსთან ერთად საბჭომაც მოიწონოს. მაგრამ ყველა ეს დაბრკოლება რუსეთის განათლების საერთო ბორკილია და არა მარტო პოლონეთის ავტონომიისა. რუსეთისთვის დღეს თუ ხვალ ამ ბორკილების დანგრევა პირდაპირ აუცილებელია, რადგან უამისოდ მას განვითარების გზა არ გაეხსნება; ხოლო როცა ეს გზა გაიხსნება, მაშინ კი პოლონეთის ავტონომია ისევე უზრუნველ ყოფილი იქნება, როგორც უფლებრივი წესწყობილება თვით რუსეთში.

პოლონელებს კარგად ესმით ეხლანდელი პოლიტიკური მდგომარეობა და თავის ფხიზელს გონებას ფუჭის იმედებით არ ატყუებენ, მაგრამ ამათ კარგათ ესმით ისიც, რომ პოლონეთის ავტონომიისთვის ბრძოლა მკიდროდ და ორგანიუ-

ლად უნდა დაუკავშირდეს მთელს იმ ბრძოლას, რომელსაც რუსეთის ხალხი ეწევა ოფიციალურ რუსეთთან. ამ ბრძოლაში უნდათ პოლონელებს შეადუღონ ერთად პოლონეთის ავტონომია და რუსეთის უფლებრივი წესწყობილება, ამ ბრძოლის საერთო ისტორიით ჰსურთ მათ უზრუნველ ჰყონ პოლონეთის ავტონომია იმდენადვე, რამდენადაც საერთოდ უზრუნველყოფილია რუსეთის ხალხის წინმსვლელობა.

პოლონეთის ავტონომიის კანონ-პროექტის შეტანა სათათბიროში არც თვით ავტონომიის განხორციელებას მოასწავებს, მაგრამ ის არც უბრალო პოლიტიკური დემონსტრაციაა. ამ ფაქტის მნიშვნელობა ისაა, რომ ამის შემდეგ პოლონეთის ავტონომია რუსეთის ცხოვრების ყველა სხვა ძირითად საკითხებთან ერთად პირველს რიგში იდგება; მართალია, ის სხვა საკითხებს წინ არ გაუსწრებს, მაგრამ არც უკან ჩამორჩება. ის სწორედ მაშინ იქნება განხილული რუსეთის სრულუფლებიანის პარლამენტისაგან, როდესაც ეს უკანასკნელი უფრო რადიკალური და გულუხვი იქნება დაჩაგრულ ერებისთვის.

ასეთი მნიშვნელობა აქვს რუსეთისთვის და პოლონეთისთვის ავტონომიის კანონ-პროექტს. ჩვენთვის კი ამ კანონ-პროექტს უფრო თეორიული მნიშვნელობა აქვს. ჩვენში ზოგს პარტიული ჯიუტობის მიზეზით, ზოგს პოლიტიკური უვიცობის გამო, ზოგს კი მოქალაქური სილაჩრის წყალობით ავტონომია ჯერ კიდევ რალაც საშინელებად აქვს წარმოდგენილი. დეე, წაიკითხონ, დეე გაიცნონ ამ ვაჟბატონებმა კანონ-პროექტი პოლონეთის ავტონომიისა და ნახონ, რომ ის არც პროლეტარიატს უკბენს, არც სახელმწიფოს მთლიანობას დაარღვევს და არც რუსების პატრიოტულ გრძნობას შელახავს. დეე ისწავლონ ჩვენმა ავტონომისტებმა, როგორ უნდა ჩამოყალიბდეს საკანონმდებლო ფორმულებში ავტონომიის მოთხოვნა.

## სახელმწიფო სათათბირო

(გაზეთებიდან)

**სოც.-დემოკრატ. ფრაქცია.** სოც.-დემოკრატიის პარტიული კომიტეტი წერილობით აცნობებს ყველა თავის ორგანიზაციებს, რომ აგრარულ საკითხის განხილვის დროს პარტიის საპარლამენტო ფრაქციაში ორმა მიმართულებამ იჩინა თავი.

ფრაქციის უმცირესი ნაწილი (მეუმრავლესენი) იმ აზრზე იდგა, რომ თუ მიწის საკითხში კადეტებს მემარჯვენენი შეუერთდნენ, მაშინ ერთად უნდა დავატყდეთ თავს კადეტებსაც და მემარჯვენეებსაც. მაგრამ თუ მემარცხენეებმა არაფრის დათმობა არ მოისურვეს, მაშინ უმთავრესად მათ წინააღმდეგ უნდა გავილაშქროთ, თუმცა ამასთანავე ისიც უნდა აღვნიშნოთ, რომ კადეტების კანონ-პროექტიც უნაკლულო არ არისო. ამ შემთხვევაში სოციალ-დემოკრატებისთვის უფრო ხელსაყრელი იქნებოდა, სხვა მემარცხენე (ხალხოსნურ) პარტიების წინააღმდეგ გამოუსვლელობა, რადგან, ფრაქციის უმცირესობის აზრით, სოციალ-დემოკრატიას მათთან საერთო საფუძველი აქვს.

ფრაქციის უმრავლესობა კი (მეუმცირესენი) იმ აზრისა იყო, რომ სათათბიროში სოციალ-დემოკრატებმა უნდა აღნიშნონ ღრმა უფსკრული ერთის მხრივ ყველა პარტიათა შორის და მეორის მხრივ მთავრობისა და მემამულეების შუა და ხაზი გაუსვან იმას, რომ მთავარ პრინციპად, მთელი ოპოზიციის შემაკავშირებლად, შეიძლება გახდეს მიწების იძულებითი ჩამორთმევა, და რომ ეს პრინციპი ჰქმნის საერთო ნიადაგს რეაქციასთან საერთო ბრძოლისთვის. შემდეგ ფრაქციის უმრავლესობა ამბობდა, რომ ეხლანდელ პოლიტიკურ მომენტში სოც.-დემოკრატიის მიზანი სრულიად ის არაა, სახვალიო მოპირდაპირეებს გაუსწოროს ანგარიშიო. უთანხმოებას მიწის საკითხის შესახებ თვით ოპოზიციის წრეებში პრაქტიკული მნიშვნელობა მაშინ მიეცემა, როცა შეიქმნება მიწის საქმის გადასაწყვეტად საჭირო პირობებიო.

პარტიულ კომიტეტის წერილში დასასრულ ნაჩვენებია, ფრაქციამ თანახმად ამ მოსაზრებისა გადასწყვიტა, რომ სოც.-დემოკრატიამ მიწის საკითხის გამო გამოსვლის მთავარ პუნქტად გაიხადოს იერიში მთავრობაზე და მემამულეებზე და მით ხაზი გაუსვას მთელის ახალის რუსეთის სოლიდარობასო.

**დეპუტატ ზურაბოვის ინციდენტი.** სათათბიროს აზბოქრებულ კრების მეორე დღეს დეპუტატ ზურაბოვს მრავალი წერილი მოსვლია და შემდეგ რამდენიმე პირი ყოფილა მასთან პასუხის მისაღებად, მათ შორის სამხედრო წოდების წარმომადგენელნიც, რომელთაც კატეგორიული მოთხოვნა წაუყენებიათ. გარდა ამისა დეპ. ზურაბოვს საზღვაო უწყების ერთის უმაღლესის დაწესებულებისაგან მისვლია წერილი. მეზღვაურებიც დაკმაყოფილებას სთხოვენ.

## ორიოდე სიტყვა

**ქუთ. ბანკში დაგირავებულ მამულების გაყიდვის შესახებ.**

ქუთაისის საადგილ-მამულო ბანკში დაგირავებულ მამულების ვაჭრობა გათავდა. როგორც ეხლა გამოირკვა, რამდენიმე მამული ისე გაყიდულა, რომ პატრონებს არც კი სცოდნიათ, თუ ვაჭრობა იყო დანიშნული. ერთი თხოვნა ამნაირად დაზარალებულ მემამულისა უკვე მისვლია ბანკის ზედამხედველ კომიტეტს. მამულის პატრონი აღნიშნავს იმ გარემოებას, რომ ვაჭრობის დღე არ იცოდა და არც შეიძლება სცოდნოდა, რადგან განცხადებანი ვაჭრობის შესახებ იბეჭდება პეტერბურგის გაზეთებში, ხოლო ადგილობრივ გაზეთებში კი, თუ მხედველობაში არ მივიღებთ „ქუთაისის გუბერნიის უწყებას", ეს განცხადება არ იბეჭდება. გარდა ამისა, ბანკის გამგეობა მაზრის პოლიციის საშუალებით უგზავნის თურმე მსესხებლებს უწყებას ვაჭრობისა და გადასახადის რაოდენობის შესახებ, მაგრამ მეტ შემთხვევებში ეს უწყება მსესხებლებს არ მისდით.

ჩვენს გაზეთში არა ერთხელ ყოფილა აღნიშნული, რომ საჭიროა განცხადებანი ვაჭრობის შესახებ ქართულ გაზეთებში დაიბეჭდოს. ამაზე ბანკის გამგენი ამბობენ: წესდება გვავალებს განცხადება ვბეჭდოთ „Правительственный Вѣстникъ"-ში, „Вѣстникъ Финансовъ", „Промышленности и торговли"-ში ქუთაისის „Губернскія Вѣдомости"-ში და პეტერბურგის ერთ-ერთ გავრცელებულ გაზეთში ფინანსთა მინისტრის ჩვენებით (ნაჩვენებია გაზეთ „Новое Время"); ჩვენ ვალდებულნი არა ვართ სხვაგან დავბეჭდოთ განცხადებანი. ადგილობრივ ქართულ გაზეთში ბეჭდვა ძვირად ჯდება და ამიტომ ვერცა ვბეჭდავთ. ჩვენ არა ერთხელ ალძარით შუამდგომლობა, ნება მოეცათ დაგვებეჭდა მარტო პეტერბურგის ორ და ერთ ქართულ გაზეთში, მაგრამ შუამდგომლობა არ შეიწყნარესო.

კარგი და პატიოსანი, მაგრამ მსესხებლები, რომელნიც ასულდგმულებენ ბანკს და რომელთაც უნდა ემსახუროს ბანკი, აქ რა შუაში არიან? თუ სამინისტრომ არ შეიწყნარა ბანკის რწმუნებულთა და გამგეობის შუამდგომლობა, ნუ თუ მსესხებლებს უფლება არა აქვთ მოითხოვონ, რომ ბანკში დაგირავებული მამულების ვაჭრობის ვადები ქართულ გაზეთში დაიბეჭდოს?!

განცხადების დაბეჭდვაში თითო მსესხებელს, თუ არა ვცდებით, ბანკი 10 მანეთს ახდევინებს და ნუ თუ ეს გადასახადი საკმაო არ არის, მსესხებლებმა მოითხოვონ, რომ განცხადება ქართულ გაზეთშიაც დაიბეჭდოს? ყაირათი კარგი საქონელია, მაგრამ როცა იგი დაინტერესებულ პირთათვის საზარალოა, მას ყოველივე აზრი ეკარგება.

ყოველივე ეს ყურად უნდა იღონ ბანკის გამგე ორგანოებმა—ესე იგი რწმუნებულთა კრებამ, ზედამხედველმა კომიტეტმა და გამგეობამ. მათ მომავალ წლიურ კრებას უნდა აცნობონ საქმის გარემოება, და თუ მსესხებელთაგან შემოტანილი ფული არ ეყოფა განცხადების დაბეჭდვის ხარჯს, მაშინ თვით ბანკმა უნდა გადასდოს ზედ-მეტი ფული.

უამისოდ ადვილი შესაძლებელია, რომ ბანკმა და მსესხებლებმა უზომო ზარალი ნახონ.

**ერთი მსესხებელთაგანი.**

## საზოგადოების საყურადღებოდ.

წრევანდელ სამოსწავლო წლის თავში ხარკოვის ქართველ სტუდენტთა წრემ, როგორც გაზეთის საშუალებით, ისე კერძო წერილებით მოაგონა ხარკოვში კურს დამთავრებულ ამხანაგებს, რომელთაც სტუდენტობის დროს უსარგებლნიათ წრის სალაროდან, მათი მოვალეობა ეხლანდელ ღარიბ ამხანაგების წინაშე.

ბევრმა მათგანმა მაშინვე მოგვაწოდა ფული შეძლების დაგვარად, რითაც დიდი შემწეობა მოგვცა დავხმარებოდით ჩვენ სახსარ-მოკლებულ წევრებს.

რადგან საჭიროება დიდი იყო, ფული მიღებისათანავე დანაწილდა და დღეს ჩვენი კასსა ისევ იმ მდგომარეობაშია, როგორშიაც იყო წლის დამდეგს.

ფული კი ეხლა არა ნაკლებად არის საჭირო ჩვენის წრისათვის. მოახლოვდა წლის ბოლო, ბევრმა ჩვენებმა ეგზამენები კიდევაც ჩააბარეს და სახლისკენ ფიქრობენ გამგზავრებას, მაგრამ უფულობისა გამო ვერ მიდიან. ასეთ მდგომარეობაში ჩავარდნილი ჩვენი წრე ხელ ახლა მიმართავს ყოფილ წევრებს თხოვნით, გამოგვიგზავნონ მათზედ დარჩენილი ვალი, რამდენადაც ეს შესაძლო იქნება, რომ მით ცოტათი მაინც დავეხმაროთ ამხანაგებს.

მასთან წრე მადლობას უძღვნის მათ, ვინც ჩვენი პირველი თხოვნა არ დასტოვა უყურადღებოდ და მაშინვე გამოგვიგზავნა ვალი თუ მთლად არა, ნაწილი მაინც.

წრის მოწმდობილობით **სტ. გ. ძნელაძე.**

P. S. ფულის გამოგზავნა შეიძლება უწინდელის ადრესით:

Харьковъ Студ.-технол. К. Дзеладзе.

ვთხოვთ სხვა გაზეთებს, გადაბეჭდონ ეს წერილი.

# ახალი ამბავი

✦ **ჟანდარმერიის მიერ მასწავლებლის დათხოვნა.** ამ დღეებში ტფ. ჟანდარმთა სამართველოს უფროსმა აცნობა ტფ. ქალაქის გამგეობას, რომ ჩუღურეთის ქალაქის სასწავლებლის გამგე ელენე ვასილიევისა დათხოვნილი იქმნა თანამდებობიდან და სრულიად სამოსწავლო უწყებიდანაო. მიზეზი ასეთის საკვირველის განკარგულებისა ვერ გავიგეთ.

✦ **გაფიცვა ბაქოში.** გაფიცვა ბაქოში ჯერ არ გათავებულა. როგორც „ზაკ."-ს ატყობინებენ, ზოგიერთ გემებზე ცეცხლი გაჩენილა. ზოგგან აფეთქებაც მომხდარა. გემის პატრონნი დიდ შიშში არიან თურმე.

✦ **სასტატისტიკო მუშაობის დამთავრება.** როგორც მკითხველს ახსოვს, ტფილისისა და ქუთაისის თავადაზნაურობის დეპუტატთა საკრებულოების დავალებით ფ. გოგიჩაიშვილის ხელმძღვანელობით შესდგა სასტატისტიკო ბიურო. ბიურომ ამ დღეებში უკვე დაამთავრა მუშაობა და ჩააბარა კიდეც დეპუტატთა საკრებულოს. ამ ცნობებს, სხვათა შორის, მასალად გამოიყენებს საავრარო კომისია.

✦ **აგრარული კომისია.** როგორც თავის დროზედ ვწერდით, ტფ. თავადაზნაურთა კრებამ ამოირჩია განსაკუთრებული კომისია და დაავალა აგრარულ საკითხის შემუშავება. ამ კომისიის პირველი სხდომა მოხდება დღეს, 27 აპრილს, დეპუტატთა საკრებულოს დარბაზში და დღეიდანვე შეუდგება მუშაობას.

✦ **ამინდი.** ამ თვეში თითქმის ყველგან ამიერ კავკასიაში და განსაკუთრებით ტფილისის გუბერნიაში ცხელი ამინდები დაიჭირა. ბევრგან გვალვამ უკვე მიაყენა ზიანი ნათესობას. თუ ასე გასტანა, მოსალოდნელია მოუსავლობა.

✦ **სესხი.** შუამდგომლობანი აღუძრავთ საგუბერნიო მთავრობის წინაშე შემდეგ სოფლების გლეხებს, რომ მათ სასოფლო სამეურნეო თანხიდან სესხი მიეცეთ საკვებ ხორბლისა და თესლის სასყიდლად: გორის მაზრის, სოფელ ლორუტის გლეხებს უთხოვნიათ 1200 მანეთი. სიღნაღის მაზრის, სოფელ ქოდალოს გლეხებს—რამდენიმე ფუთი ხორბალი; დუშეთის მაზრის ვეზატხევის და კაისხევის გლეხებს—600 მანეთი; ტფილისის მაზრის სოფელ ახალელის გლეხებს—260 ფუთი ხორბალი გამოსაკვებად და ბორჩალოს მაზრის დარბაზის საზოგადოებას—300 მანეთი.

✦ **ამომრჩეველთა სია.** ახალ ხმოსანთა პირველ საარჩევნო ნაწილის ამომრჩეველთა სია უკვე დაამზადა ქალაქის გამგეობამ. 26 აპრილს სია დაეგზავნა 1, 2, 3 და 4 საპოლიციო სამართველოებს ამომრჩეველთათვის დასაპირებლად.

✦ **ბამბა ამიერ-კავკასიაში.** ამას წინად მიწათ-მოქმედების დეპარტამენტმა სთხოვა კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას, მოგვაწოდეთ დაწვრილებითი ცნობები კავკასიაში ბამბის მოვლა-მოყვანის შესახებაო. საზოგადოების საბჭომ უკვე გაგზავნა ცნობები. როგორც ამ ცნობებიდანა სჩანს, უკანასკნელ წელს ერევნის გუბერნიაში მოსულა 400,000 ფუთი ბამბა. ორთა შუა რიცხვით ყოველ წლობით ამდენი მოდის თურმე. რაც შეეხება ქუთაისისა, ტფილისისა და განჯის გუბერნიებს, აქაც მისდევენ ბამბის მოყვანას, მაგრამ ნაკლებად. სამივე გუბერნიაში მოჰყავთ 200,000 ფუთამდე. ბამბის მოყვანის გაძლიერებას ხელს უშლის, სწერს სამეურნეო საზოგადოების საბჭო, გარდა უკულტურობისა ცხოვრების სხვა და სხვა პირობებიო.

✦ **მოხელის მოკვლა.** განჯაში 25 აპრილს, ღამის 2 საათზე, თავისს სახლის კარებთან მოჰკლეს გადმოსახლებულთა საქმის საკრებულოს წევრი ლეჩინსკი. მკვლელი მიიმალა.

✦ **მდინარის გამაგრება** როგორც ამას წინად ვწერდით, თელავის მაზრის სოფელ ყვარელის მცხოვრებლებმა სთხოვეს ნამესტნიკს, დააჩქარებინოს მდინარე დურუჯის გამაგრება, რომ შარშანდელივით უბედურება არ დაატყდეთ თავს. როგორც გავიგეთ, ფული უკვე მიუციათ მცხოვრებთათვის. ეხლა ამ საქმის გამო ყვარელში მიდის საგუბერნიო გამგეობის წევრი მისენკო.

✦ **საადგილ-მამულო გადასახადი.** ნამესტნიკის საბჭოსთან შესდგა განსაკუთრებული კომისია. კომისიამ უნდა შეჰკრიბოს ცნობები მთელს კავკასიაში იმის შესახებ, თუ ვის რამდენი მიწა და შემოსავალი აქვს. აზრადა აქვთ თურმე საადგილ-მამულო გადასახადი შემოსავლის კვალობაზე გააწერონ.

✦ **დათხოვნილი მუშები.** ადელხანოვის ქარხნიდან ამას წინად დაითხოვეს 100-მდე მუშა. მუშების წარმომადგენლებმა ქალაქის გამგეობას სთხოვეს შუაკაცობა მექარხნესთან მოსალაპარაკებლად.

✦ **გადასახლება.** ახალქალაქის მაზრის სოფელ გორელოის 57 კომლ გლეხს შუამდგომლობა აღუძრავს, რომ ისინი ყარსის ოლქში გადაასახლონ თავისუფალ ადგილებზე. როგორც გავიგეთ, ეს თხოვნა შეუწყნარებიათ, რადგან ყარსის გუბერნატორს თანხმობა განუცხადებია მონახოს მათთვის თავისუფალი ადგილები ოლქში.

✦ **სასიკვდილოდ დაჭრა.** 25 აპრილს საღამოთი, ვერაზე, სულაძის სახლიდან ვიღაც უცნობმა გარედ გამოიწვია ამ სახლში მცხოვრები მარიამ ზურაბოვისა. უცნობმა შესავალ კარებშივე ოთხჯერ რევოლვერი დაახალა ქალს, სასიკვდილოდ დასჭრა და მერე მიიმალა. მიზეზი არ არის გამორკვეული. ქალი ამ ბოლო დროს ქმართან აღარა სცხოვრობდა.

✦ **მტკვრის მოდიდება.** მტკვარი თან და ფან მატულობს, მიუხედავად ამისა, არავინ არა ზრუნავს, რომ რიყასა და ორთაჭალის მცხოვრებნი უზრუნველ ჰყონ უბედურებისაგან.

✦ **რკინის გზის ჟანდარმების უფროსი.** ამიერ-კავკასიის რკინის გზის ჟანდარმების უფროსად ინიშნება პოლკოვნიკი შჩერბაკოვი.

✦ 23 აპრილს, საღამოს 8 საათზედ, პუშკინის ქუჩაზე, ბაღის პირდაპირ ვიღაცას ელექტრონის ვაგონს ქვეშ ჩაეგდო პეტარდა, რომელიც ისეთი სიძლიერით გასკდა, რომ ხალხი დაფრთხა. დაშავებით არავინ დაშავებულა.

✦ 23 აპრილს პოლიციის მე-5 ნაწილში ბაგრატიონის ქუჩაზე მცხოვრებ ივანე ივანაშვილს გაღებულ ფანჯარიდან შეჰპარვია ქუთაისის გუბერნიის მცხოვრები მიტაშვილი. იგი ნივთებიანად დაიჭირეს და პოლიციას გადასცეს.

✦ 24 აპრილს ოლგას ქუჩაზე დანიელ ბალდასაროვისთვის მოუპარავთ 200 მანეთის ნივთები.

## კანონ-პროექტი პოლონეთის ავტონომიისა *)

**მუხლი 1.** პოლონეთის სამეფოს ტერიტორია იმ საზღვრებში მდებარეობს, რომლებიც 1815 წელს იყვნენ აღნიშნული.

**მუხ. 2.** პოლონეთის სამეფო რუსეთის სახელმწიფოს განუყოფელი ნაწილია; იმის შინაგან საქმეებს განაგებენ განსაკუთრებითი დაწესებულებანი განსაკუთრებითის კანონისდების ძალით.

**მუხ. 3.** პოლონეთის სამეფოს შინაგან საქმეებისთვის არსებობენ: განსაკუთრებითი სეიმი, ხაზინა და ხარჯთ-აღრიცხვა, საადმინისტრაციო მმართველობა ნამესტნიკის მეთაურობით, სასამართლო დაწესებულებანი პოლონეთის სამეფოს სენატითურთ და ცალკე მინისტრი სტატს-სეკრეტარი პოლ. სამეფოს საქმეებისა მინისტრთა საბჭოში.

**მუხ. 4.** პოლონეთის სამეფოს სეიმს არ ეკითხება შემდეგი საქმეები:

ა) შენახვა საიმპერატორო ოჯახის წევრებისა და საიმპერატორო კარის დაწესებულებანი; ბ) მართლმადიდებელთა საეკკლესიო საქმეები; გ) საგარეო პოლიტიკის საქმეები; დ) ჯარი ხმელეთისა და ზღვისა; აგრეთვე სამხედრო და საზღვაო უწყებათა საკუთარი გზები და შენობები; ე) ფულის მოჭრა; ვ) საბაჟო და საქციზო კანონისდება; ზ) საფოსტო, სატელეგრაფო და სრულიად სახელმწიფო სატელეფონო კანონისდება, აგრეთვე ტარიფები საერთაშორისო და მთელის სახელმწიფოს საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო ურთიერთობისა; ჰ) რკინის გზის ტარიფები საერთაშორისო მიმოსვლისა და აგრეთვე იმპერიასთან პირდაპირის მიმოსვლისა; თ) კანონისდება სავაჭრო ნიშნებისა და პრივილეგიების შესახებ, აგრეთვე სალიტერატურო და სამხატვრო საკუთრების შესახებ; ი) სისხლის სამართლის კანონისდება უზენაეს ხელმწიფების წინააღმდეგ აჯანყებისთვის, სახელმწიფო ღალატისთვის, არეულობისთვის, სამხედრო ბეგარის დარღვევისთვის, ყალბი ფულის, ფასიან ქაღალდების და ნიშნების ხმარებისთვის, საკარანტინო, საბაჟო, საქციზო, საფოსტო, სატელეგრაფო და სატელეფონო წესდებათა დარღვევისთვის; კ) საერთო სახელმწიფო ვალები და ვალდებულებანი.

**მუხ. 5.** სეიმს ექვემდებარება:

ა) კანონისდება ყველა საქმეებისთვის იმათ გარდა, რომელნიც ამ წესდების მეოთხე მუხლში არიან ნაჩვენები; ბ) შეწერა ყოველგვარ გადასახადების, ხარჯების, პოშლინისა და ბეგარისა გარდა საქციზო და საბაჟო გადასახადებისა; გ) განხილვა და დამტკიცება პოლონეთის ხაზინის საყოველწლიურო შემოსავალ-გასავლის ხარჯთ-აღრიცხვისა და აგრეთვე პოლონეთის კონტროლის ანგარიშისა ხარჯთ-აღრიცხვის ასრულების შესახებ.

**მუხ. 6.** სეიმისაგან მოწონებული კანონ-პროექტები წარედგინება უმაღლეს ხელმწიფეს დასამტკიცებლად პოლონეთის საქმეთა მინისტრ სტატს-სეკრეტარის ხელით. ამ წესით დამტკიცებულნი კანონ-პროექტები, მინისტრ სტატს-სეკრეტარის ხელმოწერილნი, საყოველთაოდ გამოქვეყნდებიან კანონთა დღიურში, რომელიც ვარშავაში გამოიცემის.

**მუხ. 7.** პოლონეთის სამეფოს სეიმი ყოველ-წლივ ვარშავაში იკრიფება თანახმად უმაღლესი ბრძანებისა, რომელსაც ხელს უნდა აწერდეს მინისტრ სტატს-სეკრეტარი. დათხოვნა სეიმისა და აგრეთვე შეწყვეტა მისი მუშაობისა შეიძლება იმავ წესით, რაც ამ მხრივ შემოღებულია სახელმწიფო-სათათბიროსთვის იმ განსხვავებით, რომ ამ საქმის შესახები უმაღლეს ხელმწიფების აქტები ხელმოწერილნი უნდა იყვნენ პოლონეთის საქმეთა მინისტრ სტატს-სეკრეტარის მიერ. თითოეული სესსია სეიმისა სამ თვეზე არა ნაკლებ უნდა გასტანდეს.

**მუხ. 8.** წესი და რიგი პირველი სეიმის არჩევნებისა, მის წევრთა რიცხვი და მისი გახსნის წესი განისაზღვრებიან განსაკუთრებითის დებულებით იმ პირობით კი, რომ ეს სეიმი არჩეულ იქმნას საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარულ არჩევნების სისტემით.

**მუხ. 9.** აღმასრულებელი ხელმწიფება პოლონეთის სამეფოში, ამ წესდების მე-12 მუხლში აღნიშნულის გამონაკლისით, ეკუთვნის განსაკუთრებითს მმართველობას, რომლის სათავეშიაც სდგას ნამესტნიკი. ნამესტნიკი უმაღლესის ბრძანებით ინიშნება. ნამესტნიკი არ შეიძლება იმავე დროს ჯარის მთავარ-სარდალი იყოს.

**მუხ. 10.** დამოკიდებულება ნამესტნიკისა სეიმთან, მოწყობა პოლონეთის სასამართლო დაწესებულებათა, პოლონეთის მმართველობის და თვითმმართველობის ორგანოებისა, აღრიცხვა მათი ქვემდებარე საქმეებისა, ამ დაწესებულებათა ურთიერთი ხელქვეითობა და მათი დამოკიდებულება სეიმთან, პოლონეთის საქმეთა მინისტრთან და ნამესტნიკთან განსაზღვრულ იქნება თვით პოლონეთის სეიმისაგან ამ წესდების მე-5 და მე-6-ე მუხლებში აღნიშნულის წესის.

*) ეს კანონ-პროექტი 10 აპრილს შეიტანა სახელმწიფო სათათბიროში პოლონეთის 46 დეპუტატმა. კანონ-პროექტთან ერთად წარადგინეს აგრეთვე მოხსენება.

**მუხ. 11.** პოლონეთის საქმეთა მინისტრი სტატს-სეკრეტარი ინიშნება უმაღლესად პოლონეთის პოლონელ მოქალაქეთა წრიდან. დანიშვნის წესი იგივეა, რაც მინისტრების დასანიშნავად. პოლონეთის საქმეთა მინისტრი:

ა) წარადგენს პოლონეთის სეიმისაგან მოწონებულ კანონ-პროექტებს, რათა უმაღლესად დამტკიცებულ იქმნენ, და აგრეთვე პოლონეთის ისეთს საქმეებს, რომელნიც უმაღლესის ხელმწიფეებისაგან განიგებიან; ბ) ადასტურებს და ჰგზავნის კუთვნილებისამებრ უზენაეს ხელმწიფე'ის განკარგულებებს, რომელნიც პოლონეთის საქმეებს ეხებიან; გ) მონაწილეობას იღებს მინისტრთა საბჭოს ყველა საქმეში; კერძოდ საბჭოს თავის აზრს წარუდგენს იმ საერთო სახელმწიფო საქმეთა შესახებ, რომელნიც საბჭოში განიხალებიან და პოლონეთსაც შეეხებიან.

საერთო სახელმწიფო საქმეებში მინისტრი სტატს-სეკრეტარი პასუხს აგებს ისევე, როგორც მინისტრთა საბჭოს სხვა წევრები; პოლონეთის საქმეების შესახებ კი პასუხისმგებელია წინაშე სეიმისა, რამდენადაც ეს საქმეები სეიმს ექვემდებარებიან.

**მუხ 12.** ამ წესდების მეოთხე მუხლში ჩამოთვლილ საერთო სახელმწიფო საქმეთაგან პირდაპირ ცენტრალურ აღმასრულებელ დაწესებულებათა გამგეობაში არიან: საიმპერატორო კარის სამინისტროს, გარეშე საქმეთა, სამხედრო და საზღვაო სამინისტროების და უწმინდესის სინოდის საქმეები. დანარჩენი მეოთხე მუხლში ჩამოთვლილი საქმეები პოლონეთის სამეფოს საზღვრებში ეკუთვნიან პოლონეთის ადგილობრივ დაწესებულებებს, მაგრამ ამ უკანასკნელთ საერთო სახელმწიფო კანონების საფუძველზე უნდა იმოქმედონ.

**მუხ. 13.** მთელი შემოსავალი პოლონეთის ხაზინისა და აგრეთვე მთელი იმისი ხარჯი, როგორც ადგილობრივი, აგრეთვე საერთო სახელმწიფო (მუხ. 14 და 15) შეიტანება ერთს საზოგადო სავარაუდო ხარჯთ აღრიცხვაში და ბიუჯეტში და მათ შესახებ შესდგება ერთი საერთო ანგარიში.

**მუხ. 14.** პოლონეთის ხაზინაში შედის:

ა) ყველა გადასახადები, ხარჯები და პოშლინები, რომელთაც გადიხდიან პოლონეთის საზღვრებში.

ბ) შემოსავალი საერთო სახელმწიფო მთავრობის რეგალიებისა პოლონეთის საზღვრებში.

გ) შემოსავალი პოლონეთის ხაზინის ყველა ქონებისა, თანხებისა და წარმოებისა.

პოლონეთის საზღვრებში ტრანზიტის საქონელზე გადახდილი საბაჟო გადასახადი, როდესაც ეს საქონელი იმპერიის გუბერნიებში იგზავნება, საერთო სახელმწიფო შემოსავალში გადიწერება; მეორის მხრივ იმპერიის საზღვრებში ტრანზიტის საქონელზე გადახდილი საბაჟო გადასახადები, როდესაც ეს საქონელი პოლონეთში იგზავნება, პოლონეთის ხაზინის შემოსავალში გადირიცხებიან.

**მუხ. 15.** პოლონეთის ხაზინა, პროპორციონალურად მცხოვრებთა რაოდენობისა მთელს სახელმწიფოში და პოლონეთში, მონაწილეობას იღებს შემდეგს სახელმწიფო ხარჯების დაფარვაში:

ა) საიმპერატორო ოჯახის წევრთა და საიმპერატორო კარის სამინისტროს შენახვაზე.

ბ) სახელმწიფო ვალების და ვალდებულებათა გასტუმრებაზე, აგრეთვე ამ ვალების პროცენტის გადახდაზე ისე კი, რომ ვალდებულებანი კერძო რკინის გზის საზოგადოების გარანტიებისა მხოლოდ იმ შემთხვევაში და იმდენად დაეკისრებიან პოლონეთის ხაზინას, რამდენადაც ეს გარანტიები ეკუთვნიან პოლონეთის საზღვრებში არსებულს რკინის გზებს;

გ) ცენტრალურ საკანონმდებლო დაწესებულებებზე;

დ) მათის აღმატებულების საკუთარის კანცელარიაზე;

ე) მინისტრთა საბჭოზე;

ვ) გარეშე საქმეთა სამინისტროზე;

ზ) სამხედრო და საზღვაო სამინისტროზე;

ჰ) სახელმწიფო კონტროლზე;

თ) სარკინიგზო ტარიფების ცენტრალურ უწყებაზე.

გარდა ამისა, პოლონეთის ხაზინა მართლმადიდებელთა სარწმუნოების უწყების ხარჯებში მონაწილეობას იღებს პროპორციონალურად პოლონეთის მართლმადიდებელ მცხოვრებთა რაოდენობისა მთელ სახელმწიფოს მართლმადიდებელ მცხოვრებთა რაოდენობასთან.

**მუხ. 16.** რაოდენობა პოლონეთის ხაზინის ხვედრი ხარჯისა, ამ წესდების მე 15 მუხლში ჩამოთვლილ საერთო სახელმწიფო საჭიროებაზე, გამოირკვევა თანახმად სახალხო აღწერისა, რომელიც ყოველს ათს წელიწადში ერთხელ უნდა მოხდეს ხოლმე. ყოველ ათის წლის განმავლობაში პროპორციონალური წილი ხარჯებში მონაწილეობისა უცვლელად რჩება. ექვსი თვის განმავლობაში მას შემდეგ, როცა სათანადო ცენტრალური დაწესებულებანი დაამტკიცებენ საბოლოოდ გასულის წლის ანგარიშს, უბრუნებ ერთმანეთს კუთვნილს ფულს ორივე ხაზინა.

წესრიგი საურთი ერთო ანგარიშის გასწორებისა საერთო სახელმწიფო დაწესებულებათა და პოლონეთის ხაზინის შუა განისაზღვრება განსაკუთრებითის წესებით.

**მუხ. 17.** პოლონეთის ხაზინის საკუთრებად გადადის ყველა ის უძრავი და მოძრავი ქონება, სხვათა შორის რკინის გზები და აგრეთვე კაპიტალები და თანხები, გარდა საიმპერატორო ჯარის, სამხედრო და საზღვაო სამინისტროთა ქონების, კაპიტალების და უფლებებისა, რაც კი პოლონეთის საზღვრებში იმყოფება და ეკუთვნის და მმართველობის დაწესებულებებს.

**მუხ. 18.** უმაღლესი სასამართლო დაწესებულება პოლონეთში არის პოლონეთის სამეფოს სენატი, რომელიც ვარშავაშია მოთავსებული. პოლონეთის სენატს ექვემდებარება:

გაუქმება და გადაშინჯვა სასამართლოთა საბოლოო გადაწყვეტილებებისა და განაჩენებისა, აგრეთვე განახლება სისხლის სამართლის საქმეებისა.

ა) გადაწყვეტა ყველა სადაო საკითხის და უთანხმოებისა სასამართლოსა და საადმინისტრაციო დაწესებულებათა შუა; აგრეთვე სხვა და სხვა საადმინისტრაციო დაწესებულებათა შუა.

ბ) განხილვა საჩივრებისა პოლონეთის ყველა საადმინისტრაციო დაწესებულებათა და მოხელეთა მოქმედებაზე, უმაღლეს ადგილობრივ დაწესებულებათა გამოუკლებლივ.

სენატის რეგლამენტი და ფარგალი იმის მოქმედებისა დაწვრილებით განსაზღვრულ იქნება სეიმის მიერ, თანახმად ამ წესდების მე-5 და მე-6 მუხლების ძალისა.

**მუხ. 19.** მთელი წარმოება საკანონმდებლო, სასამართლო და საადმინისტრაციო დაწესებულებათა და პოლონეთის სახაზინო სასწავლებელთა, აგრეთვე სწავლება ამ სასწავლებლებში პოლონურს ენაზე სრულდება. ყველა ამ დაწესებულების მიწერ-მოწერა იმპერიის მმართველობის ორგანოებთან და აგრეთვე პოლონეთში მომქმედ საიმპერატორო კარის, გარეშე საქმეთა, სამხედრო და საზღვაო სამინისტროებისა და უწმინდესის სინოდის დაწესებულებებთან და მოხელეებთან სწარმოებს რუსულს ენაზე. პოლონეთის შინაურ წყობილების განმსაზღვრელ წესდებებით (მუხლი მეათე) უზრუნველყოფილ იქნება ლიტველ და მალოროს მცხოვრებთა ენის უფლება სასამართლო, საადმინისტრაციო და საზოგადო დაწესებულებებში და სახაზინო და საზოგადო სასწავლებლებში. ენათა უფლებანი კერძო სასწავლებლებში, კერძო საზოგადოებებში და სარწმუნოების საქმეებში სრულიად არაფრით არ იქნებიან შეზღუდული. რუსებს უფლება აქვთ მიჰმართონ რუსულ ენაზე თხოვნით, საჩივრით თუ განცხადებით პოლონეთის ყველა საადმინისტრაციო და სასამართლო დაწესებულებებს და მოითხოვონ პასუხი და დოკუმენტები იმავე ენაზე. რუს მცხოვრებთათვის დაწესებულ იქნებიან საშუალო და დაბალი სასწავლებლები.

**მუხ. 20.** სამოქალაქო და საპოლიტიკო თავისუფლების საერთო გარანტიები, საერთო სახელმწიფო კანონმდებლობით დადგენილნი, გავრცელდებიან პოლონეთზე; პოლონეთის ადგილობრივ კანონისდებას შეუძლიან გააფართოვოს ეს გარანტიები, შეუძლიან აგრეთვე გამოსცეს წესები მათ აღსრულების შესახებ და მის შესაგუებლად ადგილობრივ საჭიროებებთან და პირობებთან.

**მუხ. 21.** საერთო სახელმწიფო წარმომადგენლობაში პოლონეთის მცხოვრებნი მონაწილეობას იღებენ წარმომადგენლების შუამავლობით, რომელნიც აირჩევიან იმავ საფუძველზე, როგორც იმპერიის მცხოვრებთა წარმომადგენელნი.

**მუხ. 22.** უთანხმოება და სადავო კითხვები საერთო სახელმწიფო და პოლონეთის სამეფოს განსაკუთრებითს დაწესებულებათა შუა, მათდა ქვემდებარე საქმეთა საზღვრების შესახებ, გადაწყდებიან საბოლოოდ მუდმივს კომისიაში, რომელიც შესდგება 24 წევრისა და თავმჯდომარისაგან. 12 წევრი ამ კომისიისა არჩეულ იქნებიან საერთო სახელმწიფო წარმომადგენლობით დაწესებულებათაგან, 12—პოლონეთის სეიმისაგან. თავმჯდომარე დაინიშნება უმაღლესის ხელმწიფებისაგან.

კომისიის წევრებს ირჩევენ ყოველ სესიის დასაწყისში. თავმჯდომარე და წევრები კომისიისა იმ დრომდე ასრულებენ თავის თანამდებობას, ვიდრე ახალი წევრები არ იქნებიან არჩეულნი. წესრიგი ამ კომისიის მოქმედებისა და მისი ურთიერთობა როგორც საერთო სახელმწიფო, აგრეთვე პოლონეთის განსაკუთრებითს დაწესებულებებთან გამოირკვევა რეგლამენტში, რომელსაც თვით კომისია ამტკიცებს.

**მუხ. 23.** არავითარი ცვლილება ამ წესდებისა არ შეიძლება მოხდეს, თუ ამაზე თანახმა არ გახდა თვით პოლონეთის სამეფოს სეიმი.

**მუხ. 24.** ვიდრე პოლონეთის სეიმი შინაურ წყობილების და მმართველობის წესდებას გამოსცემდეს, პოლონეთის სამეფოში იმოქმედებს დროებითი დებულება ამ წესდების განხორციელების შესახებ.

## მეაბრეშუმეთა საყურადღებოდ.

რამდენისამე დღის წინად „ისარ"-ში მოთავსებული იყო წერილი სამეგრელოდან, სადაც აღნუსხული იყო ის არანორმალური მდგომარეობა, რომელიც ამ ბოლო ხანებში დაჩემდა აბრეშუმის თესლის შეძენის საქმეს, მაგრამ რადგან ამავე დროს წერილის ავტორი არ ეხებოდა იმ საკითხის გარკვევას, თუ რა გზას უნდა დაადგეს სოფელი, რომ თავი დააღწიოს ასეთს გაუკუღმართებულ მდგომარეობას და რადგან ეს საქმე—აბრეშუმის საღი თესლის შეძენა ძლიერ საჭირო და სასარგებლოა, ამიტომ ჩვენ ვუზიარებთ მკითხველ მეაბრეშუმეს ჩვენს აზრს ამის შესახებ.

საჭიროდ მიგვაჩნია, სანამ თესლის შესახებ მოვილაპარაკებთ, დაახლოვებით მაინც გავითვალისწინოთ ის, თუ რამდენი ფუთი პარკი მოდის ჩვენს ქვეყანაში. სამწუხაროდ, სტატისტიკური ცნობები ამის შესახებ არ მოიძებნება და ამიტომ დაახლოვებით უნდა ვივარაუდოთ. ვიღებთ ხელში კავკასიის კალენდარს 1900 წლისას და შიგ ვპოულობთ შემდეგ ცნობებს. 1886 წლის აღწერილობით ყოფილა მოსახლე (ДЫМЪ):

| | | |
|---|---|---|
| ქუთაისის მაზრაში | 22911 | მოს. |
| ზუგდიდისაში 18000 მოს, ნახევარი მეაბრეშუმე | 9000 | „ |
| ოზურგეთისაში (სულ მეაბრეშუმე) | 10832 | „ |
| სენაკისაში „ | 17689 | „ |
| შორაპნისა მხოლოდ ყვირილის საზოგადოში. 4375 მოსახლე, ნახევარი მეაბრეშუმე | 2182 | „ |
| და სრულიად. | 62614 | „ |

ეს ცნობები, როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ, შეეხება 1886 წელს. მას აქეთ მოსახლეთა რაოდენობას უეჭველად მოემატებოდა და საკმაოდაც. მაგრამ ვიღებთ ამ ცნობებს ამგვარად, რადგან შიგა და შიგ ზოგიერთი მოსახლე არ მისდევს მეაბრეშუმეობას. თითეულ მოსახლეზედ საშუალო მოსავალს ვანგარიშობთ ერთ ფუთს და 30 გირვანქას, სულ შესდგება ზემო დასახელებულ მაზრებში 109,574 ფუთი. ფუთზედ საშუალო ფას ვანგარიშობთ ცამეტს მანეთს და ამგვარად მივიღებთ 1,424,462 მანეთს. როგორც მკითხველი ჰხედავს, მეაბრეშუმეობას არა მცირედი წილი უდევს სახალხო მეურნეობაში, ამიტომ ზედმეტი არ იქნება ცდა, რომ რიგიანად მოწესრიგდეს თესლის შეძენის საქმე.

მეაბრეშუმე თესლს უნდა იძენდეს თებერვალში, ყოველ შემთხვევაში არა უგვიანეს შუა მარტისა. დღეს კი აპრილის დამლევია და ბევრი ეხლა დაეძებს თესლს. მიზეზი ამისა ის არის, რომ სოფელს იაფად სურს შეიძინოს თესლი, ეს კი შეიძლება მაშინ, როცა თესლი გამოდის და ვაჭრები იძულებულნი არიან მთლად დაკარგვას, ცოტა მაინც აიღონ. მაგრამ ამათაც მონახეს ხერხი: ინახავენ თესლს გრილ და ნოტიო ადგილას; თოვლ-ყინულს აწყობენ თესლის გარშემო თესლი იჟღინთება სინესტით და ფუჭდება. ბოლოს მეაბრეშუმე ფულს იხდის და თესლს გაფუჭებულს იძენს.

რომ იტყვიან: „ქეც გაიქცა და ქეც გაიფცქვნოო", ისე ემართება მეაბრეშუმეს, და ათი შაურის ან ერთი მანეთის მოგების სურვილით, ჰკარგავს ოცსა და ოცდა ათ მანეთს. განა ეს ანგარიშია? ეს ყოველივე სად ანგარიშზე შორს არის, და ამიტომ მეაბრეშუმე უნდა ეცადოს თესლი თავის დროზე შეიძინოს. მეაბრეშუმე რომ მოუვლის და შეინახავს თესლს, ისე ვერ შეინახავს თესლის ვაჭარი.

მაგრამ ამასთან მივაქცევ მეაბრეშუმის ყურადღებას მეორე და უფრო ძნელად ასასრულებელ გარემოებას. აი საქმე რაშია. საზოგადოდ საშუალო ფასი, რასაც ვაჭრები აძლევენ მეთესლეს, არის მანეთ-ნახევარი ექვს მისხლიან კოლოფზე. სანამ თესლი მომხმარებელთან მივიდოდეს, ხშირად სამისა და ოთხის სხვა და სხვა კაცის ხელში გადადის. თითეული უმატებს გადასახადს, მეაბრეშუმე ბოლოს იძენს თესლს ორ მანეთ-ნახევრად და ხშირად სამ სანეთადაც. ეს ყველა იმიტომა ხდება, რომ მეთესლეს და მომხმარებელ მეაბრეშუმეს შორის შუა კაცები ჩადგნენ. სოფელს შეუძლიან, თუ მოინდომებს, ჩამოიშოროს შუა კაცები და პირდაპირ მეთესლესთან დაიჭიროს საქმე. ამ შემთხვევაში მეაბრეშუმე ეუბნება მეთესლეს: შენ ჰყიდი თესლს მანეთ-ნახევრად კოლოფს; მე მოგცემ ორ მანეთ-ნახევარს, რასაც მაინც ვიხდი და რაც შენთან არ მოდის; და რადგან ამ გვარად თითეულ კოლოფზე გემატება თითო მანეთი, თესლი საგულდაგულო და ყოვლად უზადო მომიმზადე. შენ თუ არ დამიმზადებ ასეთ თესლს, მეორეს მივმართავ. რათა შენ დარწმუნდე, რომ მართალს გეუბნები და შენთან მინდა საქმის დაჭერა, მანეთ ნახევარი კიდევაც გადავიხადე, როცა პარკი მომივიდა და ეს ფული შენახული მაქვს ბანკში მთელ საზოგადოების ფულთან ერთად. მხოლოდ დანარჩენ ერთ მანეთს მოგართმევ თებერვალში, როცა თესლი უნდა ჩამაბარო.

თუ ასე მოეწყობა საქმე, თუ მეაბრეშუმე თესლს ივნისში დაიკვეთს და კარგს საფასსაც გაიღებს, მაშინ საღი თესლი ქნება და იმდენი შრომა ტყუილ უბრალოდ არ დაეკარგება.

თუმცა ამ საქმის მოწყობა შეუძლებელი არ უნდა იყოს, მაგრამ ჩვენ მაინც თავს არ ვიტყუებთ და შეიძლება ხალხმა ხალისით არ მოჰკიდოს მას ხელი. ცდა ბედის მონახევრეაო, ამიტომ კარგი იქნება, ზოგიერთმა მაინც სცადოს. თუ ეს არ მოხერხდება, იმ შემთხვევაში თესლი მეაბრეშუმემ ადრე უნდა შეიძინოს შუა მარტამდის მაინც, და მიმართოს ამხანაგებს და სანდო პირებს.

**ერ. კიწმარიშვილი.**

## მუშების ცხოვრება

**გორი.** როგორც ზოგიერთ გაზეთის მკითხველებს ეხსომებათ, ქალაქ გორში ხაზეინებსა და ნოქრებს შორის საქმე რიგიანად იყო დაყენებული. ნოქრებმა ბრძოლით მოიპოვეს 8 საათის სამუშაო დღე. ყველა შეურიგდა ვაჭრობის პირობებს. არც პოლიცია იწუხებდა თავს და საქმე გვარიანად მიდიოდა... ნოქრები მაღაზიების დაკეტვის შემდეგ მომეტებულად ერთად იკრიბებოდნენ და ჭირ-ვარამზე ბაასობდნენ. ყველა სცდილობდა მოპოვებულ თავისუფლებით ესარგებლნა და ცოტად თუ ბევრად განვითარებულიყო. გარემოებაც ხელს უწყობდათ, რადგან საუკეთესო და შრომის მოყვარე ახალგაზდობასთან ჰქონდათ საქმე დაჭერილი. მაგრამ მოგეხსენებათ, ამ ქვეყნად ყველაფერი ცვალებადია. ცუდი ადამიანი არასოდეს არ დაილევა. ასეთები ჩვენ ნოქრებსაც გამოგვიჩნდნენ. რაკი დაინახეს რეაქციის სიძლიერე, სცდილობენ დაიბრუნონ წარსული დრო! გორში ამათ ყველანი კარგად იცნობენ. ასეთია, მაგ., ჩარჩიევი. მან არ შეასრულა ის პირობა, რა პირობაც ურთი-ერთ მოლაპარაკებით დაწესდა. (საქმე ნოქრის დათხოვნას შეეხებოდა). ნოქარმა თავისი მოითხოვა, მაგრამ ხაზეინმა ლანძღვა-გინებით უპასუხა. მაშინ ნოქარმა ამხანაგები მიიყვანა და საქმის ვითარების გამორკვევა მოსთხოვა. ხაზეინმა პოლიციას მიმართა და უფროსს ნოქარს უბრძანა, ნოქრების გვარები ჩაეწერა, წინააღმდეგ შემთხვევაში იმასაც დათხოვნით დაემუქრა. უფროსი ნოქარი იძულებული გახდა ბრძანება აესრულებინა და სია ნოქრებისა მზად იყო. უფროსმა ნოქარმა უსიამოვნების თავიდან ასაცილებლად ამხანაგი თავის ჯამაგირით დააკმაყოფილა და საქმე დროებით შეაჩერა. მეორე ადამ არტ. ივანოვმა ამ ბოლო დროს არამც თუ არ გაუშვა თავისი ნოქრები არც ერთს კრებაზე, მისი ამხანაგებს კი ლანძღვა-გინებით მოიხსენია და ზოგს ცემითაც დაემუქრა. [illegible] რჩილება [illegible] არის იმისთვის [illegible] ჰშულა ერთად [illegible] ნეთ, კვირა დღესაც-კი ნახევრად გაღებულ დარაბით ვაჭრობს.

ამის მიხედვით სხვებიც ლამის გადაირივნენ, გაიძახიან: «თუ დაგეტვაა, დეკეტვა იყოს, თუ არა და ჩვენც ვივაჭრებთო». ამასვე ვიტყვით. ბ. ა. გალუსტოვზედაც, თუმცა იმისთანა გალუსტოვ-ივანოვარშაკუნები გორში ბევრია და რომ ყველანი ჩამოვთვალოთ, მთელი გაზეთის ფურცლები გორის «ხაზეინებს» მოუნდება...

ვწერთ ამას ხაზეინების საყურადღებოდ იმ იმედით, რომ საქმეს არ გაამწვავებენ, თორემ ნოქრებიც, რა თქმა უნდა, თავს გამოიდებენ. **ერთი ნოქართაგანი.**

## პროვინციის ცხოვრება

**ქ. თელავი.** თელავსა და კახეთში მენინგიტის გაჩენამ ძალიან შეაფიქრიანა როგორც საგუბერნიო, ისე სამაზრო და ქალაქის ადმინისტრაცია. ერთი ხანია თელავში და მერე სოფლებში იყო საგუბერნიო ექიმის თანაშემწე ბ-ნი მაჭავარიანი. შემდეგ საგუბერნიო ექიმი ბ-ნი ქიქოძეც ჩამოვიდა. 6 აპრილს მოახდინეს კრება, რომელსაც დაესწრნენ ქიქოძე, მისი თანაშემწე, სამოქალაქო და სამხედრო ექიმები, მაზრის უფროსი, სასწავლებელთა ზედამხედველნი და ქალაქის მოურავი. კრებამ საჭიროდ იცნო ეხლავე ზომების მიღება.

მეორე დღეს მოხდა ქალაქის ხმოსნების კრება. გადასწყვიტეს ზომების მიღება უსუფთაობის წინააღმდეგ. ქალაქი ნაწილებად დაჰყვეს; აირჩიეს ხმოსანთაგან სანიტარული მზრუნველები, რომელნიც ყველა ნაწილში ორ-ორ თანაშემწეს მიიწვევენ და ქალაქის სისუფთავეზე იზრუნავენ. მათ შემოიარეს მთელი თელავი და განკარგულებას აძლევდნენ ეზო-ქუჩების გასუფთავებაზე. ეს სანიტარული კომისიები მუდმივად იმოქმედებენ შემდეგშიაც. დრო გამოშვებით დაათვალიერებენ და ვისაც გაფრთხილების შემდეგ ანტისანიტარულ მდგომარეობაში ექნება ეზო, იმას დააჯარიმებენ. რათა მცხოვრებთ თავიდან აიცილონ უსიამოვნება და დაჯარიმება, უმჯობესი იქნება, ყველამ ეხლავე მიაქციოს ყურადღება თავის ეზო-ყურის გასუფთავებას.

არ შემიძლიან არ შევეხო გაზ. „ზაკავკაზიე"-ს (№ 79) კორესპონდენტს ბ-ნ ნ. ნ—ს, რომელიც მენინგიტის გავრცელებას უმთავრესად ექიმების დაუდევნელობას სწერს. თელავში ხუთი კი არა, როგორც იგი სწერს, ორი ექიმია, ახვლედიანი და ცისკარაშვილი. დაუდევნელობას იგი ცისკარაშვილს აჰკიდებს თავზე, რაც სიმართლეს არ შეესაბამება. ისიც სიმართლეს მოკლებულია, ვითომ ბ. ცისკარაშვილი ამ სენს მენინგიტად არა სცნობდა; მენინგიტად კი სცნობდა, მაგრამ ავადმყოფთ არ აშინებდა, არამედ ამშვიდებდა და ამასთან აფრთხილებდა მომვლელთ. ცისკარიშვილი თუნდა არა სდომებოდა, როგორც სამაზრო ექიმი, ავადმყოფობის მიმდინარეობაზე ყოველთვის ატყობინებდა სადაც ჯერ არს.

რაც შეეხება ბ. ნ. ნ—ს სიტყვებს, რომ მაზრის უფროსმა მიჰმართა მცხოვრებთ, ავადმყოფობის დროს მიჰმართონ ექიმ ცისკარაშვილს, როგორც გამოცდილ სპეციალისტ-ბაქტერიოლოგს, ამაშიაც ძალიან სცდება და არც უნდა ეკადრნა ეს დაცინვა, რადგან წერილის ავტორმა ძალიან კარგად იცის, რომ ასე არც არავის მიუმართავს და არც ბ-ნი ცისკარიშვილია სპეციალისტ-ბაქტერიოლოგი. საერთოდ იმ წერილს რაღაც პირად ანგარიშის ხასიათი აქვს. **ვ—ი.**

**ნატახტარი** (დუშეთის მაზრა). ეს ხუთი წელიწადი იქნება, რაც მდ. არაგვს მიაქვს ვენახები სოფ. მისაქციელის, ლამის და ნატახტრისა. შიდ-რვა ვერსის სიგძეზე რამდენიმე დღიურის სიგანე მამული, რომელიც ამ ხუთი-ექვსი წლის წინად წარმოადგენდა მშვენიერ ვენახ-ბაღებს, დღეს რიყეს წარმოადგენს. ამ სოფლებს მამა-პაპებს შეუპოვარის ბრძოლით და მუშაკობით დაესაკუთრებიათ გიჟმაჟ არაგვის ნაპირები, ურმობლივ ჩიუზიდნიათ მიწა და სასუქი და ამგვარად წინად რიყე მშვენიერ ბაღ-ვენახებად გადაქცევიათ. ახლაც გული სტკივათ აქ მცხოვრებთ, აკლდა არ უნდათ გაცტანონ თავიანთი ნაწვავ ნაღაგი და ტკბილით გულ-სვედ დაკრებილი შესტქრიან, როგორ უწყალოდ ფესვებს და აქცევს წყალი ას წლოვან კა-

კლებს, მაგრამ გამკლავება აზვირთებულ მდინარესთან ვერ გაუბედნიათ. დიდი დრო არ მოუნდება არაგვს ვენახების წალებისთვის, რის შემდეგაც მოადგება თვით სოფლებს და დაჰმართებს იმავე დღეს, რაც ყვარელს დაჰმართა მდინარემ შარშან.

სოფლელებს რომ ეკითხები, რად აძლევთ წყალს თქვენს ამაგს და ჰაზეულ სიმდიდრესათ, გულსაკლავად გიპასუხებენ: რითი, მეგობარო, კაწერა შეშა არა გვაქვს რძე ავიდუღოთ, წნელი ვერსად მოგვიჭრია ბოძოლა დავიბათ კარზე, არაგვთან ბრძოლას კი ხვირების დაწვნა და ჩაწყობა უნდაო.

ამ სოფლებს რამდენჯერმე უთხოვნიათ მთავრობისთვის დახმარება აღმოეჩინა, მაგრამ ტყუილად. რომ შეეძლოთ სახელმწიფო ტყეებიდან წნელის გამოტანა მაინც ხვირებისთვის, სხვას თვითონ მოახერხებდნენ და ამოდენა სიმდიდრეს უბრალოდ წყალს არ წაადებინებდნენ.

ვაქცევთ ყურადღებას, ვისაც ჯერ არს, ამ სოფლების უმწეო მდგომარეობაზე, რომ დაიხსნან ისინი ყოველ წლიურ დიდ ზარალისაგან და ახლო მომავალში კიდევ იმ უმწველ გასაჭირიდან, რომელსაც მათ უმზადებს არაგვი, თუ მისი ნაპირები საჩქაროდ არ გამაგრდა.

**მნახველი**

# რუსეთი

**სამხედრო მინისტრის ბრძანება.** „რუსსკი ვედომოსტ“-ის პეტერბურგელი კორესპონდენტი იუწყება: სამხედრო საქმეთა მინისტრმა სათანადო ღონისძიებანი მიიღო, რომ არც ჯარის ნაწილებმა და არც კერძოდ თითოეულმა აფიცერმა დეპუტატ „ზურაბოვის ინციდენტის გამო არაფერში თავი არ გამოიდონ, რადგან სამინისტროს აზრით ინციდენტი გათავებულია.

**სესხისთვის ემზადებიან.** პოლიციის დეპარტამენტს ბრძანება გაუცია თავის აგენტებისთვის პარიზსა და ბერლინში, თვალ-ყური დაიჭირეთ იმ პირებზე, რომელნიც აგიტაციას ეწევიან ან სიტყვით, ან მწერლობით და ან პოლიტიკურს წრეებში რუსეთის სესხის წინააღმდეგო. აგენტებს დაევალათ აგრეთვე, გამოიკვლიონ, რომელ პარტიებთან და რა პირებთანა აქვთ კავშირი აგიტატორებს და საიდან იღებენ ფულს.

**ფული რევოლიუციასთან საბრძოლველად.** „რევოლიუციასთან აქტიურ ბრძოლის საზოგადოება“ ან, როგორც სხვანაირად იწოდება ეს საზოგადოება, „იმპერატორ ალექსანდრე მესამის წრე“ სამოც ათასს მანეთს დახმარებას სთხოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს.

**პატრიოტების გაჩხრეკა.** 18 აპრილს უეცრად გაჩხრიკეს „რუსთა კავშირის“ მთავარი საბჭო. ჩხრეკას დაესწრ ნენ პოლიციელები, „ოხრანის“ განყოფილების მოხელენი და პოლიციის დირექტორის საგანგებო მოხელე. წინა ღამეს გაჩხრიკეს „რევოლიუციონურ აქტიურ ბრძოლის საზოგადოების“ მთავარი შტაბი და იქ ორი კაცი დაატუსაღეს. ამბობენ, ამ ორს გაჩხრეკას ერთმანეთთან აქვს კავშირიო. აღმოუჩენიათ სათაკილო დოკუმენტები, წერილები და, როგორც ხმა დადის, რამდენიმე სიკვდილის განაჩენი, სრულიად დამზადებული გასაგზავნად სხვა და სხვა პირებთან. ეს ჩხრეკა მოხდა მოსკოვის პროკურატურის განკარგულებით, რომელიც იოლლოსის მკვლელობას იძიებს.

**პენსია ფრიშის ქვრივს და ობლებს.** უმაღლესის ბრძანებით, სახელმწიფო საბჭოს გარდაცვალებულ თავმჯდომარის ფრიშის ქვრივს და ორს ქალიშვილს დაენიშნათ წლიურად თორმეტი ათასი მანეთი პენსია.

**საერობო დარაჯების რაზმი პოლონეთში.** ამ ჟამად ამ რაზმს 100 უფროსი ჰყავს, 35 სათადარიგო ოფიცერი, 1053 უფროსი დარაჯი და 4514 უმცროსი დარაჯი, ამათში 600 ცხენოსანი. რაზმის შესანახად იხარჯება: ჯამაგირები 1.279.810 მანეთი, ტანთსაცმელი და ცხენების კვება 554.756 მან., სულ ერთი მილიონი რვაას ოცდა თოთხმეტი ათასი ხუთას სამოცდა ექვსი მანეთი.

## ვანო გუჩმაზოვის ხსოვანს.

(ნეკროლოგი).

გულ-შემზარავი ამბავი ჩამოგვიტანეს გორიდან. აღდგომა დღეს, საღამოს ხუთ საათზე, ტფ. სასულ. სემინარიის მესამე კლასის მოწაფე ვანო გუჩმაზოვი, თვით ცნობიერებით გატაცებული ყმაწვილი, ასულა გორის ციხეზე ხუთი წუთი არ დასცალდებია საბრალოს ბუნების სიმშვენიერით დამტკბარიყო, საიდამღაც ვიღაც ბოროტ კაცს ქვა უტყორცნია მისთვის, გრძნობა მიხდილი დაგორებულა და ციხის ძირს სულიც განუტევებია.

ვანო იყო ახალ-გაზრდა ყმაწვილი, 19—20 წლისა. ერთად ერთი შვილი ქვრივ დედისა. სიყრმიდანვე სიღარიბის გამო დედასთან ერთად დიდ გაჭირვებას იტანდა. მაგრამ მიუხედავად ამისა, გულითა და სულით იყო გატაცებული მომავლისთვის. იგი იყო მშვიდი, უწყინარი ყმაწვილი.

მისი ბუნებრივი ნიჭი და შრომის-მოყვარეობა ბევრ რამე საკეთილოს გვიქადდა შემდეგში, მაგრამ მისმა უცაბედმა და უდროო სიკვდილმა ბოლო მოუღო ყველა ამას.

**ამხანაგები.**

## წერილი რედაქციის მიმართ

გაზეთ «ისარში» მე-76 №-ში ბ. ვლადიმერ კოჩინევმა გამომიწვია სამედიატორო სამართალში, რაზედაც მე სიამოვნებით ვთანხმდები და ჩემის მხრით ვასახელებ: ექიმს ვახტანგ დავითისძე ღამბაშიძეს და პროვიზორს გრიგოლ ივანესძე იმხნელს.

**ნესტორ მხეიძე.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

26 აპრილი.

**ბერდიჩევი.** დღისით ოთხმა შეიარაღებულმა კაცმა ტრამვაი გააჩერა. კომისიონერ პალიას 5700 მანეთი წაართვა და მიიმალა. უცნობებს არავინ არ გამოსდევნებია.

**ვარშავა.** რკინის გზის ქუჩაზე 7 ჯერ ესროლეს და დასჭრეს უბნის ზედამხედველი.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** მეტივეთა გაფიცვა გათავდა. მათი მოთხოვნილება ქირის მომატების შესახებ დააკმაყოფილეს.

**ლონდონი.** 24 აპრილს ლორდთა პალატამ ხელ-მეორედ განიხილა ლორდ ნიუტონის მიერ შეტანილი კანონ-პროექტი ზედა პალატის რეფორმის შესახებ. კამათის შემდეგ პალატამ 198 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 46-სა უარ-ჰყო ლორდ კრიუს წინადადება და მიიღო გრაფ კაუდორის წინადადება. ლორდ ნიუტონმა თავისი პროექტი ისევ უკან წაიღო.

საზოგადოებათა პალატაში ირლანდიის საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ბირრელმა დაასაბუთა მთავრობის კანონ-პროექტი ირლანდიაში ნაციონალურ საბჭოს დაარსების შესახებ და სთქვა: საბჭო კანონმდებელის უფლებით არ იქნება აღჭურვილი, ირლანდიის დეპუტატები თავიანთ ადგილს შეინარჩუნებენ საზოგადოებათა პალატაში. პროექტი მხოლოდ ხელს შეუწყობს ირლანდიის ხალხის ადმინისტრაციასთან დაახლოვებასა. ირლანდიის მართვა-გამგეობის ახლანდელი სისტემა არავის არ მიაჩნია გონიერად. მთავრობის კანონ-პროექტით, ნაციონალურ საბჭოს კონტროლ-ქვეშ იქნება რვა საადმინისტრაციო დეპარტამენტი, გარდა ჟანდარმერიისა. ნაციონალურ საბჭოში იქნება 24 დანიშნული წევრი და 82 არჩეული, სამის წლის ვადით. საბჭოს უფლება ექნება კონტროლი გაუკეთოს ირლანდიის 8 დეპარტამენტის მოქმედებას. იმპერიის პარლამენტს უფროსობა მაინც დარჩება. მეფის მოადგილეს ნება ექნება, შეაჩეროს საბჭოს დადგენილების სისრულეში მოყვანა, სანამ მთავრობას არ შეეკითხება და ნებართვას არ მიიღებს. ფინანსების კონტროლი ნაციონალურ საბჭოს ეკუთვნის. დაარსდება ირლანდიის მუდმივი ფონდი, რომლისთვისაც საჭირო თანხას 8 ადმინისტრატიული დეპარტამენტი გაიღებს.

ბირელმა საათ-ნახევარი ილაპარაკა. შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა კონსერვატორმა ბალფერმა, რომელმაც კანონ-პროექტი დაიწუნა. ეს პროექტი ირლანდიის მართვა-გამგეობაში არევ-დარევას შეიტანსო, სთქვა ორატორმა. ცხარე კამათის შემდეგ კანონ-პროექტის პირველი რედაქცია მიღებულ იქმნა 416 ხმის უმეტესობით 121 ხმის წინააღმდეგ.

**ეზზიერგი.** 24 აპრილს 22 რუსი ს.-დემოკრატი პარკესტონისკენ გაემგზავრა, საღამოზე 150 კაცი კიდევ მოვიდა და ხვალ ისინიც პარკესტონისკენ გაემგზავრებიან.

**სტამბოლი.** ჯედდაში 9—15 აპრილამდე შავი ჭირით ავად გახდა 10 კაცი. იმათგან 9 გარდაიცვალა. 11 აპრილიდან საკარანტინო კუნძულ კამარანზე ავად არავინ არ გამხდარა.

**პარიჟი.** საზოგადო სამუშაოთა მინისტრმა მინისტრთა საბჭოს მოახსენა: დეპეშის განგებ შეცვლილად გადაცემისათვის 8 ტელეგრაფისტი დავითხოვე და 2 სამართალში მივეციო. საერო განათლების მინისტრმა განაცხადა, რომ მასწავლებელ ნეგრის სამსახურიდან გასვლა დავამტკიცეო.

**პარიჟი.** იაპონიის ელჩმა კურინომ გაზეთ «ტანი»-ს თანამშრომელს უთხრა, რომ საფრანგეთ-იაპონიის შეთანხმებას აზრად ექნება ჩინეთის დამოუკიდებლობა და მთლიანად დაცვა და ორთავ სახელმწიფოს (საფრანგეთ-იაპონიის) მიწა წყლის ხელ-შეუხებლობა. იაპონია გაამაგრებს უკანასკნელ ომიანობის შემწეობით შეძენილ საზღვრებს, ხოლო საფრანგეთი გამაგრდება ინდო-ჩინეთის ნახევარ-კუნძულზე. შეთანხმებას წმინდა პოლიტიკური ხასიათი აქვსო.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატამ განიხილა შეკითხვები სინდიკატების და საზოგადო პოლიტიკის შესახებ. ნაციონალისტმა გოტიემ მიმართა მთავრობას და განუცხადა: «იმ დროს, როცა თქვენ დასაჯეთ გენერალი ბალიუ, პრუსიის სამხედრო მინისტრმა საჭირო ფული რომ მიიღო პარლამენტისაგან, საფრანგეთ-გერმანიის შორის მოსალოდნელ ომიანობაზე სიტყვა ჩამოუგდო. კლემანსომ ორატორი გააჩერა და შენიშნა, რომ გენერალ ფონეინემს, როგორც სამხედრო მინისტრს, ამის უფლება ჰქონდაო: გოტიემ განაგრძო: «არა მგონია, რომ ინგლის-გერმანიის კონფლიქტის დროს საფრანგეთი ნეიტრალურად დარჩეს. მას დასჭირდება, ბრძოლის ველზე დაიფაროს თავისი თავი. ყოველ შემთხვევაში დიდი იმედი ნუ გაქვთ «ანტიმილიტარიზმისა». სამხედრო მინისტრმა პიკარმა ორატორი შეაჩერა: «ეს სული (ანტიმილიტარიზმი) ჯარში ჯერ არ დატრიალებულაო». პალატაში ხმაურობა ასტყდა.

**მოსკოვი.** 25 აპრილს დაიწყო სრულიად რუსეთის პიროგოვის სახელობის მეცხრე კრება. შეიკრიბა ათასამდე ექიმი. წევრების გარდა კრების გახსნას 2000 მოწვეული კაციც დაესწრო. კრება გაიხსნა პიროგოვის საზოგადოების პროფესორის რეინის მისასალმებელ სიტყვით. ორატორმა აღნიშნა პიროგოვის საზოგადოების მოქმედება უკანასკნელ წლებში. წაიკითხეს მისალოცი დეპეშა რუსეთის ყოველ მხრიდან და შემდეგ საპატიო თავმჯდომარედ აირჩიეს ქალთა საექიმო ინსტიტუტის დირექტორი სალაზკინი. პროფ. ზაბოლოტნიმ სიტყვა წარმოსთქვა რუსეთში ათაშანკის წამლობის გაუმჯობესობის შესახებ. საღამოთი სექციების მუშაობა დაიწყება.

**ლომი.** ზგერჟში მოჰკლეს ადგილობრივ მცხოვრების ბაკალიარჟის შვილი.

**სად. ევგაშინსკოე.** მმარცვავთა ბრბომ სადგურებს მურომცევო და ევგაშინსკოეს შუა ფოსტის გაძარცვა მოინდომა, სროლის დროს ერთი თავდასხმელი მოჰკლეს, მეორე დასჭრეს. ფოსტა გადაარჩინა მურომცევოს ფოსტალიონმა, რომელიც ცოცხალი გადარჩა. მას ტყვია მოჰხვდა, მაგრამ ტანისამოსს ვერ გაატანა.

**ომსკი.** დისციპლინალურ როტის სადგომიდან 10 კაცი გაიქცა. იმათ კაცის მოკვლა და ძარცვა-გლეჯა ბრალდებოდათ. ომსკის მაზრის სოფ. გოროდიშაში 55 სახლი დაიწვა: გლეხები უსახლ-კაროდ, უთესლოდ და უიარაღოდ დარჩნენ.

რედაქტორ-გამომცემელი

**ივ. ი. მჭედლიშვილი.**


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ყოველ დღე, კვირეებს გარდა.**

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**შ. ი. ზაზანაშვილი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გძელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—67)

**ახალი წიგნი**

დაიბეჭდა და საადგომოდ გადაეცემა „წ. კ. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას გასასყიდად

**ახალი ისტორიული მონოგრაფია**

## ამბოხება კახეთისა 1812 წ.

ა. ფრონელისა.

ვინც მოისურვებს წიგნის შეძენას, უნდა მიმართოს „წ. კ. საზოგადოების“ მაღაზიას. იგი ფას დიდებით გაუგზავნის როგორც ამ წიგნს, ისე „მთიულეთს 1804 წ.“ (10—უ.—4)

პირველ აპრილიდან ტფილისში გაიხსნა

ფეხსაცმელების სახელოსნო

## „იმედი“

მიხეილის ქ., № 55, სახ. სლივიცკისა.

სახელოსნოში მზადდება: შევროვისა, ხრომისა და სხვა ძვირფას ტყავეულობის ფეხსაცმელები ქალებისა და ვაჟებისათვის. აგრეთვე მზადდება წუღები, მესტები, სხვა და სხვა შავი საქონელი და ზაფხულისათვის საუკეთესო პარუსინების სხვა და სხვა ფერის ფეხსაცმელები. მსურველთ ყველა ზემოხსენებული საქონელი ხელმისაწვდენ ფასებში დაეთმობათ. სახელოსნო ყველა საქმეებს ასრულებს პირიანად და სუფთად. (უ)

## ქუთაისში

## კიწმარიშვილის და ამხ.

**თესლეულობის კანტორამ**

მიიღო დიდ-ძალი იონჯის, კოინდრის, სამყურის, პურის, ეკლის ხის, ბჟოლის და ყოველგვარ ბოსტნეულობის და ყვავილების თესლეულობა. პრეისკურანტები ყველას უფასოდ. (30—ფ.—29)

## შემთხვევით

მალიან იაფად

## იყიდება

სხვა და სხვა ფორმის ძეგლები და სასაფლაოს ქვები. ჩვეულებრივზე 50% ნაკლებად. სახელოსნო ს. რიჩჩისა, მიხაილოვის ქუჩა, სახლი № 127. (10—ხალ.—7)

**გამოვიდა და დარიგდა გასაყიდად**

ახალი ქართული წიგნი

## ცოდნა და რევოლიუცია

გადმოკეთებული მთარგმნელისმიერ, გამოცემა „გუთნისა“; ფასი 7 კაპეიკი. (5—უ—5)

## სამკურნალო

ექიმთა საზოგადოებისა

**ტფილისში**

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფებისა

**მიხეილ ბაბაჯანოვი:** 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ტატევოსოვი:** 12—1 ს. შინაგანი და საბავშვო ავადმყოფობანი.

**ი. გ. ავეტისოვი:** 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. პ. კიმონცი:** 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**პ. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტეროლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 50 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—55)

## ნამდვილი კახური ღვინო




**ფასები ყველასათვის ხელმისაწვდენი.** (100—55)

ბეჭდვითი საქმის მუშათა პროფესიონალური საზოგადოების გამგეობა აპით აცხადებს, რომ მან გახსნა

## კანტორა

სასახლის ქუჩაზე, თავად-აზნაურობის ქარვასლაში, მეორე სართულზე, № 119, სადაც მსურველთ შეუძლიანთ ჩაეწერონ საზოგადოების წევრათ. აქვე უნდა ჩაეწერონ უადგილო მუშები ამ ხელობისა.

კანტორა ღია არის დილის 9 საათიდან საღამოს 7 საათამდე.

მიიღება ხელის მოწერა 1907 წლისათვის.

**საყმაწვილო სურათებიანი ჟურნალი**

წელიწადი **ნაკადული** მესამე

1097 **წლის 1 იანვრიდან** 1908 **წლის 1 იანვრამდის წლიურ ხელის-მომწერლებს მიეცემა:**

**24** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული“ **მცირეწლოვანთათვის** **12** წიგნი, ჟურნალი „ნაკადული“ **მოზრდილთათვის**

დასურათებული წიგნები წლიურ ხელის-მომწერთა საჩუქრად არა ნაკლებ ასის გვერდისა თითო. პირველად მიიღებენ გრიმის ზღაპრებს.

წლიური ფასი ორივე გამოცემისა დამატებებით, ე. ი. 39 წიგნისა რჩება ისევ 5 მანეთი, ნახევარის წლით 2 მან. 50 კაპ., ცალკე პატარებისათვის 24 წიგნი—3 მანეთი, მოზრდილთათვის 12 წიგნი—3 მანეთი. ხელის მოწერა მიიღება წლიურად და ნახევარი წლით. თითო ნომერი ჟურნალისა პატარებისათვის ეღირება 15 კაპ., მოზრდილთათვის—25 კაპ. ფულის შემოტანა შეიძლება ნაწილ-ნაწილადაც.

ვთხოვთ ხელის-მომწერლებს ადრესი გარკვევით დასწერონ, დროზე შეგვატყობინონ ბინის გამოცვლა.

**ხელის მოწერა მიიღება:**

1) „ნაკადულის“ რედაქციაში, გოლოვინის პროსპ., ზუბალაშვილის სახ., № 8 ყოველ დღე 9—2 საათამდე, სამშაბათობით საღამოთიც; 2. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, სასახლის ქუჩა, სახლი თავად-აზნაურ.; 3. წიგნის მაღაზია „Новая Рѣчь“-ში, გოლოვინის პროს.; 4. წიგნის მაღაზია „Образованіе“-ში, მიხაილოვის ქუჩა; 5. **ქუთაისი**, წიგნის მაღაზია „კოლხიდაში“; 6. **ბაქო,** ანა გრიგორის ასულ ყვანიასთან და ნინო ქაიხოსროს ასულ დეკანოზიშვილთან; 7. **ბათუმი**, მარიამ ივანეს ასულ ელიავასთან, კნეინა სოფიო ნაკაშიძესთან და „Черноморскія Новости“-ს რედაქციაში; 8. **ფოთი**, წიგნის მაღაზია „ივერიაში“; 9. **ოზურგეთი**, წიგნის მაღაზია „იმედში“; 10. **თელავი**, საზოგადო ბიბლიოთეკაში, ბ. გომაძესთან: 11. **ელისავეტპოლი**, ბ. კონსტანტინე ოდიშარიასთან; 12. **ახალციხე**, სამოქალაქო სასწავლებლის ინსპექტორ ბ. ქიქოძესთან.

რედაქტორი: **მ. ი. დემურია.** გამომცემელი: **თ. პ. ი. თუმანიშვილი.**


სტამბა „იდეალი“ (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.